ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

17.11.14 №233

თბილისი

სტუ-ს ბიოტექნოლოგიის ცენტრის ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 17 ნოემბრის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ბიოტექნოლოგიის ცენტრის, დანართი №1-ით გათვალისწინებული, ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2014 წლის 24 ნოემბერს და დასრულდეს 2014 წლის 1 დეკემბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის შენობაში. (მის: სარაჯიშვილის ქ. №1ა. III სართული), 12 საათიდან – 16 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
4. კონკურსი ჩატარდეს არაუგვიანეს 2014 წლის 5 დეკემბრისა.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ქ.ქ. ფ. ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობა, გამოცხადებული კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- მეცნიერ თანამშრომელი – 1 (მაგისტრის აკადემიური ხარისხი) საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV)
- დასაკავებელი თანამდებობების შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; (სასურველია)
- 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- მეცნიერ თანამშრომელს – 1 შესაბამისი დარგის მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);
- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;(სასურველია)